

სახალხო გაზეთი

სურათების დამატება

გაზეთის № 529

დამატების № 93

პირა, 19 თებერვალი 1912 წ.



მუდმივი კერძი,—მარმარილოს ქანდაკება როდენისა.

გ ი ჩ ი

(გუ. მიხ. რაზიკაშვილი)

საცა გაჩნდა, დაიბადა,
ნუ თუ დაშრა იქ ტბა, წყალი,
რად მაწვიე—მონადირეს,—
რისოვის მიცე ხედვად თვალი?!

ცხარე ცრემლის წვიმას ვაფრქვევ,
ვქვითინებ და ვწუხვარ გულით,
აღარა მაქვს მოსვენება
არც სიფხიზლით, არცა ლულით,
არ ვიცი რით მომივიდა
სიგიჟით, თუ სიყვარულით,
როცა მოვკალ მაშინ მოვრთე
ოხვრა-კვნესა სინანულით.

უსულდგმულო თეორი გედი
ისევ კოხტა ყელ-ყარყარა,
სახლში მიდგას მაგიდაზე,
როგორც იყო, როგორც მდგარა.
მკვდარი ცოცხალს ისე მიმზერს
თითქოს ჯერაც არ მომკვდარა,
ტკბილ საყვედურს ბევრსა ვხედავ
მის თვალებში მე გულ-მწარა.

უცხო ქვეყნით მოფრენილი,
ყელ-ყარყარა, კოხტა გედი,
თეორი, როგორც თოვლის ფიფქი,
როგორც თეორი ოქრომკედი,
სიამაყე ბუნებისა,
ლალ გულ-მკერდა, ტანად ქედი,
სავალალოდ, სამწუხაროდ,
შემეწირა ის მკვდარ-ბედი.

იმისთანა მშვენიერი
არც უნახავთ, არც ნახულა,
რაც კი რამ აქვს ბუნებისა
მადლი უხვად ზედ დანოჭმულა.
მარმარილოს ქანდაკება,
თუ კი სადმე ჩამოსხმულა,
სილამაზის ღმერთებისგან
ცოცხალ გედთან უარ თქმულა.

ღმერთო, ღმერთო, რად ამკიდე
ამ უმანკოს ცოდნ-ბრალი,
ან მე რისოვის გამაჩინე,
ან რად შექმენ ეს საწყალი?

თითქოს ამას მეუბნება: ძირებული
სად ვიყავი, ახლა კი სად,
ნეტავი რა დამიშვე, რომ გაგიხდი ოხვრა-კვნესად?!
სიყვარული უნდა ერთის
მიუღია გისაც წესად,
გული უნდა მასთან მოკვდეს,
ვინც იხმარა ის ტალ-კვესად!..

მეც ამას კოხოვ ჩემის ქვეყნის
ცოცხალსა და ამაც გედსა:
სიყვარულით აგზნებულსა
ნუ მომკერდავს გედის ბედსა.
და, თუ მომკლავს, ამიტანს,
დამასვენოს მაღლა ქედსა,
რომ გედივით უსინათლო
დაცეკეროდე მის გულ-მკერდსა.
ზ. მლვიმელი.



დამოცემაცია გელვასტში იჩდაღის პომიულის
შინააღმდეგ.



ბელფასტის ქუჩაში დემონსტრანტებმა გააჩერეს ავტომობილი შინააღმდეგთა მინისტრის ჩერჩილისა, რომელიც ირლანდიდან ბრუნდებოდა და თუ პოლიციას არ ეველნა, ავტომობილს გადაბრუნებას უპირებდენ.

ბელფასტში ნაციონალისტებმა და დემონსტრაცია მოახდინეს ირლან-უწინდებურად სიამოვნების ტბაზე დასცურავდა უდარდელობის ჰიმორულის მომხრეთა წინააღ-ბის თუ უზრუნველობის ნავით. გრძნობდა კი, კიდეც ჰევდავდა მდეგ. ლორდ ლონდონდერი და სერ რომ ფეხევეშ ნიადაგი გამოსცლოდა და უფსკრულისაკენ მიეღვდარი და ვითომ ჩამოუხევიათ.

ზურაბ

1

მაღალი მთის გული ლრმად გაეპო ანკარა ნაკადს და კისკასად მონაბეჭერებდა ქვა-კლიან ხევში, მოსცურავდა მოლი-ჰულ საქებზე, სხლტებოდა ლოდიდან ლოდზე და მარგალიტის მარცვლებად ეფინებოდა ჩახრიალის. ხანდისხან თავს შეიმაგრებდა მკირცხლი, დაწყნარდებოდა, ჩატბორდებოდა, ჩალრმავდებოდა, თითქო დიდი რამ მდინარე ყოფილიყოს და-დინჯვებული, მაგრამ იგი მისი დაბრძნობა ხნიერი არ იყო, ცოტა მანძილს მისდევდა მას იგი დარბაისლობა; მალე ისევ შეთამაშდებოდა და კასკასით გადაეშვებოდა ჩაკიდებულ თავქვეს ცელქი და დაუდევარი. მთის ყვავილი ლიმილით დასცეროდნენ მის გიუურ ლტოლვას და თავს უქნევდნენ სალამის ნიშნად.

აგრე ჩაათვა ნაკადმა ვიწრო ხეობა და გზა გაიკვალა ვაკისაკენ. აქ კი მომლორდა, ნამდვილ დაწყნარდა, ნელა და-იწყო დენა დარბაისლურად და თან გაიხედ-გამოიხედა აქეთ-იქით: ახალს არემარეს ათვალიერებდა, სცდილობდა ყველა ადგილი გაესინჯა, ყველგან მისწვდომოდა თავისი ტოტებით. დროც იყო თავს დასწყნარებოდა, ბალლური სიცელქე და უზრუნ-ველობა მიეტოვებინა, ნაყოფიერ შრომას შესდგომოდა. განა პატარა-ლაა და უსუსური! კარგა მოზრდილი მდინარეა და უკვე შეუძლიან სასიკეთო ზრუნვა. დროა შეიგნოს, რომ ის არის ერთად-ერთი იმედი ამ ვაკეზე გაშენებული სოფლებისა: ბალ-ბოსტნებისთვის უნდა მიეშველებინა თავისი მაცოცხლებელი ცვარი, თორქემ ძალიან ცხელოდა და მზე ამოსწვემდა დედა-მიწას, ნებას არ მისცემდა აღმოეცენებინა ნაყოფი მადლიანი; ხალხი და ყველა სულდგმულიც მას შექაროდა, როგორც სიცოცხლისა და ცხოვრების მიმცემელს, რაღაც უმისოდ ჯო-ჯოხეთის ალი დასწვამდა მათ და მოაშთობდა. შელერებულ ნაკადს კარგად ესმოდა ეს და ყოველმხრივ დაეგზავნა თავისი ტოტები, რომ ყველგან მიეტანათ მათ იმედი და სიხარული. ნაკადის ერთი ტოტი შწვერვალიანთსაც გადასულიყო, მხია-რული რაკრაკით ჩასდევდა მთელ ეზოს და შესრიალებდა კარის ვენახში.

მწვერვალიანთ ეზო დიდი იყო, უზარმაზარი. გარს მწყობ-რად დარაზმული ალვის ხე უვლიდა. ვეება ალაყაფის კარები ფერადი წამლით დაეჭრელებინათ. ეზოში მოსჩანდა ორ-სარ-თულიანი სასახლე. ფართო წინგარდი გადმოჰყურებდა ეზოს ჩუქურმით მორთული. ბელელი, სათონე, სამზარეულო და ათასი სხვა შენობა მოსდევდა სახლს აქეთ-იქით და ერთის შე-ხედვით მეკომურის სიმდიდრესა ჰმოწმობდა. მაგრამ თუ ჩაკირიდებოდით, შენიშვნავდით, რომ ყველაფერი რიგიანად ველარ იყო მოვლილი; თავმინებებული მოსჩანდა ყოველივე. ეზო-ყურეში ერთი ბიჭი ტრიალებდა და ზლაზნით ჰკაზმავდა

მშვენიერ ტაიპს. აივანზე იჯდა ხანში შესული კაცი, ყალიობის აბოლებდა ჩაფიქრებული. გაიღო თახის კარი, გამოვიდა წი-თლებში მოსილი შეიარაღებული ჟმაწვილი, ჩამოირბინა კი-ბეზე, მოახტა ცხენს და გაქუსულა. მოხუცი ერთხანს მია-შტერდა მას, მემრე ხელი ჩიქნია ულონბლ და უფრო ჩაფი-ქრდა. ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოვიდა ახოვანი რამ კაცი ხელჯონიანი, გულზე წმიდა გიორგის ჯვარი ეკიდა.

— ბატონს ვახტანგს ვახლავარ! მიესალმა მოსული.

— ნოდარ, შენა ხარ? გაგიმარჯოს ღმერთმა! რაო, რაო, რა ამბავია?

— თქვენი დლეგრაქლობა, ბატონო! ხალხი შეიკრიბა, ბოქაულიც მოვიდა და აბა წამობრძანდით.

— კარგი, მოვალ! შენ წალი, მიჰედე იქაურობას.


2.

იმ დროს იყო ეს, როცა ბატონ-ქმობა უკვე მოსპობილი იყო, გარნა კეთილშობილიას ჯერ ფერი არ გაპირნებოდა, პეტი არ შევშლოდა, არც ყელი გადაეგდო საბრალოდ; მას ჯერ ისევ მალლა ეჭირა თავი და ზევიდან დასცეროდა ნაყმევ მოძმეს; იგი ჯერ აბრუს არ იტეხდა, თავისას არ იმლიდა და დემონსტრაციას ირლან-უწინდებურად სიამოვნების ტბაზე დასცურავდა უდარდელობის ჰიმორულის მომხრეთა წინააღ-ბის თუ უზრუნველობის ნავით. გრძნობდა კი, კიდეც ჰევდავდა მდეგ. ლორდ ლონდონდერი და სერ რომ ფეხევეშ ნიადაგი გამოსცლოდა და უფსკრულისაკენ მიეღვდარდა

მდაბიო ხალხს კი თავისუფლება მონიკებოდა, ხელ-ფეხი გახსნოდა, წელში გამართულიყო და უკვე იბრძოდა მთლად განთავისუფლებულიყო იმ საზიზლარ მონიბის ქაო-ბილან, რომელიც აქამდის ჰფარავდა მას ქოჩიამდის და სულ უხუთამდა სიბიძრილით.

მაღალი წოდება შიშითა და ბოლმით გაპირებდა მომა-ვალს, რადგან მემკვიდრეობით უსაქმობას შეთვისებულს და უზრუნველობას შესისხლხორცებულს საკუთარი ძალა ვერ წაემძლვარებინა წინ ამ ახალ გზაზე ცხოვრებისა, ხოლო ნა-

უცელაზე უგალლესი სახლი დედამიწის ზურგზე.



ნიუ-იორკში (ამერიკაში), ამას წინადაა შენებს ეს უზარმაზარი სახლი, რო-მელიც 55 სართულიანია.

ჩვევი ვეშაპი უძლებისა ისევ ფეხდაფეხ მისდევდა მას და არა შორდებოდა მდაბიო სახლი კი იმედის ცისარტყელისა ჰევდავდა ამ ახალ სარბიელზე, რადგან მას დველთაგან ნანდერებევი შრომის უნარი და მხნეობა წაემძლვარებინა წინ, ხოლო თა-ნამგზავრად აჰეროლოდა შეზრუნველი მომკირნება თუ მოთმინება.

პარატი მოსკოვის სამხატვრო თეატრში დაღმული.



1. პორაციო. კ. 3. ხოლოვი. 2. თფელი. ო. გზოვსკია. 3. ჰამლეტი. ვ. კახალოვი, 4. ლაერტი. ჩ. ბოლესლავსკი. 5. კლავდიუსი და გერტუდა. 6. მასალიტინოვი და ო. კნიპერი. 6. აქტოორები. ა. ვიზნევსკი ტა ვ. ურიკოვი. 7. როზენქანც და გილდენსტეინი ს. ვორონოვი და ბ. სუშკევიჩი. 8. დუელი, ჰამლეტსა და ლაერტისა ვ. კახალოვი და ჩ. ბოლესლავსკი. 9. პოლონიუსი. ვ. ლუბია. 10. აქტდილი ჰამლეტის მაზისა. 6. ზამენსკი. 11. მესაფლავები ვ. გრიბუნიანი და ვ. პავლოვი.

ერთი არა დარმართს დასტურობით და არარაობის უფრ-
სკულისაკენ დაშვებულიყო, მეორე უკვე ამოსულიყო ამ არა-
რაობის წყვდიადიდან და იმედ მოსილი შესდგომოდა იმ აღ-
მართს რომელიც თანდათან ნათელს და ბედნიერებას უახლოვ-
დებოდა მოგზაურს. ერთისა ჯერიყო აღორძინებად, ხოლო
შეორისა მოკლებად და დამდაბლებად.

ჯერ დასწყისი იყო ამ ორგვერ მსვლელობისა და თავთა-
ქვე დაშვებული ჯერ ისევ მაღლა იდგნენ და დიდობდნენ,
ხოლო აღმა მავალი ჯერ ისევ დაბლა იყენენ მთას კალთებში
და თვალს ვერ უსწორებდნენ ჯერ ისევ გაბრწყინვებულთ.

3.

ნაყმევთაგან შიგა და შიგ კი დაწინაურებულიყო ზო-
გიერთი და თითქმის გათანასწორებოდა უკვე დაჭვეითებულ
ბატონებს, მათ გვერდში ამოდგომას ჰლამობდა, თუმცა მოკ-
რთალებით და გაუბედავად. ამ დაწინაურებულ ნაყმევთა რი-
ცხვს ეკუთვნოდა ნოდარ ნაირადე, რომელიც სოფელ იანიან-
ში პირველ კაცად ითვლებოდა დღეს, ქონებით თუ გავლე-
ნით. ესლა ის შეუ ხახს გადაცილებული კაცი იყო, მაგრამ
ისევ წამოსადევი, მწითური. მეტ სახელს ხუნდაყი ეძახდნენ,
რადგან ოდესმე ხუნდაყში ებრძოლა და ჯვარიც იმ ბრძოლა-
ში მიეღო. ხუნდაყში პატარობიდანვე ბატონიანთ სასახლეში
იყო აღზრდილი, როგორც მორბედი და ბატონიშვილი ვა-
ხტანგის გამრთობით თანატოლი ბიჭი. მეტე, როდესაც ბატო-
ნიშვილს მებში დაწყის სიარული, ნოდარი თან ასდევნე-
ბოდა თანამებრძოლად და იარალის მტვირთველად. ბევრი
რამ გადაჭედოდა ნოდარს, ბევრჯელ გადაერჩინა ბატო-
ნი ვახტანგი ტყვეობისა და სიკვდილისაგან, ბევრჯელ შეუ-
შველებია მას თავისი ხმლის ყუა ბატონის გასაგმირად მო-
ქნეულ მტრის ხმლისათვის. ბატონიც ამაგდარი იყო: რამ-
დენჯერმე გამოეტანა დაჭრილი ხუნდაყი გამწარებული
ომიდან სამუშირობოს. ეს იყო მიზეზი, რომ ბატონ-უმობის
დროსვე ნოდარი და ვახტანგი დახლოვებული იყვნენ, ერ-
თმანეთის ქომანი და გამტანი: იმის ზარს დაემეგობრებინა
ისინი, დაკავშირებინა, როგორც თანამებრძოლინი. ხმლის

ევეშ და ტყვიის წინ ყველა მებრძოლი მხოლოდ ამხანაგია
და მაშველი, აქ ბატონურ მედიდურობას და მბრძანებლობას
და ადგილი აღარ აქვს, თუ მეტადრე თანამებრძოლი მხნეა და
სანდო ქომაგი, ნოდარი კი გულადი იყო და ყოველთვის
მოხერხებული.

მშვიდობიანობის დროს ბატონი, რასაკვირველია, ისევ
მბრძანებლად გარდაიქმნებოდა, მაგრამ იმში გამოქვედილი
ძმობისა და თანასწორების კვალი მაინც რჩებოდა, მოლად არ
იშლებოდა და ბატონი ბატონი ექცეულდა ნოდარს, სხვებისგან
ბევრად არჩევდა, ეს მით უფრო, რომ ბატონის მხნეობის თუ
გულადობის ერთად ერთი მოწამე და მისი ნაამბობის დამა-
დასტურებელი ხუნდაყი იყო, ბატონს კი უყვარდა წარსულ
ბრძოლათ მოგონება, გარდასრულ ღვაწლთა და მამაკობათა
გახსენება. წვეულობაში თუ ყრილობაში იმშე ჩამოაგდებდა
საუბარს და მოჰყვებოდა თავის თავგადასავალს, თან ცალი
თვალი გუნდაყისაკენ ეჭირა, კვერი დამიკრას, სიტყვა დამი-
ქმარიტოსო.

— გავიწყდებათ, ბატონი, გავიწყდებათ! — ჩაერეოდა ნი-
დარი საუბარში, დალლოღ რომ ავიღეთ და ავიკულით, თქვენმა
კეთილმა გულმა მშვენიერი გულ-ყიზი გადაარჩინა ჯარის კა-
ცების მდვინვარებას. დასწვდა, ბატონებო, იშემინებულ ქალს,
შემოიგდო ტახტაზე და ჰერი! მერმე, ერთი კვირის შემდეგ, ათ
თუმნად დაისხნეს ის ქალი.

— არ კი დამავიწყდა, ბიჭი, მაგრამ მაგისთანების თქმა,
ქალბატონს ეწყინება და სჯობს დავიწყებას მივცეთ! — მორც-
ხვად მიუგებდა ბატონი.

ბატონ-უმობის გადავარდნის შემდეგ ხუნდაყსა და ბატონს
შორის დამოკიდებულება და პირადი ურთიერთობა ისევ ძვე-
ლებული დარჩა, უფროს-უნკროსული და ხათრიანი. ნოდარი
სიყვარულით და პატივისცემით ეცყრიობდა თავის ნაბატო-
ნარს, ბატონიც ჰუნდაყდა მას, რითაც შეიძლებოდა, მხარს
უკერდა. ნოდარის შეილი ილიკო რომ ესლა სამხედრო სა-
სწავლებელში სწავლობდა სახელმწიფო ხარჯზე, ეს ბატონი
ვახტანგის წყალობა იყო და მეცადინეობა. მართალია ნოდარს

უფლება ჰქონდა, როგორც ჯვარის მექონს და ომებში დამსახურებულს, მაგრამ უფლებას ვინ დაგიდევს, თუ შემწე არა გყავს და დამხმარებელი?! ბატონის სიტყვამ კი შემწეც აღმოუჩინა მას და გზის მაჩვენებელიც.

4.

ხუნძაყმა რომ ბატონი ყრილობაზე, მიიწვია, ეს ყრილობა მამასახლისის ამოსარჩევად გაემართნა ბოქაულს. ბატონის სურვილი იყო მამასახლისად ნოდარი ამოერჩიათ და კიდეც მია-აღწია თავის წადილს, რადგან ბოქაულს, მღვდელს თუ სხვა ავ-კაცებს სრულებითაც არა პსურდათ ეწყენინებინათ ბატონისათვის და პირდაპირ მიუთითეს ხალხს ნოდარაზე. არც და-საწუნი იყო ხუნძაყმი: სოფელი იმაზე შეგნებულს, გამოცდილს და მიჩნეულს ვერვის დაასახელებდა, მით უფრო, რომ ნოდარი წიგნის მცირები იყო და რუსულსაც ამტვრევდა. მაინც აზრის სხვადასხვაობამ იჩინა თავი ყრილობაზე და ჯვუფ-ჯვუფად დანაწილდა ხალხი. ნოდარის მოწინააღმდეგე ჯვუფი პატარა იყო, თუმცა უფრო საღი და მოსაწონი პაზრის მატარებელი: მათი აზრი სოფელსაც უფრო მოსწონდა და სწორედ იმ აზრს გაატარებდა და განახორციელებდა, თუ დიდ-კაცთა გავლენას არ დაეძლია ყრილობა.

— ე ხუნძაყმი, ჩემ ძმავ, ისევ ბატონის წილი და კერძი კაცია, ისევ წინანდებურად ყმა არის მისი ყურმოჭრილი, ბატონისავე სიტყვა გაპყავს და სურვილები.

— მწყალობელი ჰყავს და ბატონი! უიმისოდ ეხლა მა-გის ბიჭი სკოლაში არ იქნებოდა გაბრწყინვალებული. დახე, როგორ აცია, თითქო ეხლავე უფროსიათ.

— სოფელის მამასახლისი ნამდვილ სოფლიდან უნდა იყოს, სოფელის შვილი; ჩენი კაცი უნდა იყოს, ნამდვილი გლეხი, გლეხობაში გამოწროვნილ—გამოჯევილი, რომ ჩენი ჭირ-ვარამი გაიგოს და ჩენ სატკიფარს ეწამლოს.

— აი მართალი სიტყვა! თორემ რა იცის ხუნძაყმა სოფ-ლისა?! პატარობიდანვე ბატონის კარს არის გაზრდილი, ამ-ბში ბატონთან ნამყოფი; ბატონური ზე-ჩენებულება აქვს ძუ-ძეს რძესავით შეწოვნილ—შეთვისებული და, აბა, რად უდა-ლატებს ბატონს, ან როგორ მოახერხებს?

— ი ჯვარ-მენდლებიც რომ ჩამოუკანკურებია! ბატონია რაღა ჩენი, პატარა ბატონი!

— არა, ჯვარი რომ ჩამოუკიდნია, ლირსიც არის, მე და ჩემმა ღმერთმა, რადგან ბევრი სისხლი დაუღვრია ურჯულოე-ბთან ბრძოლაში; ტყვიით და ხმლით დაცხავებულ—დაკეპი-ლია კაცი, მაგრამ ნამდვილი გლეხი ვერ არის, რადგან ბალ-ლობიდანვე მოუცილებით გლეხის კერისათვის, და სწორედ ესა გვაქვს საჩივარი,—ამბობდა სხვა.

ამ უკმაყოფილოთა და უარმყოფელთა რიცხვში პირვე-ლობდა ბატონიშვილი ლევანი, ჯერ ისევ კაბუკი პირტიტვე-ლი. შესამე კლასამირინ მიაღწია ლევანმა სასწავლებელში და მერე დაითხოვეს: აამტუტა ლავარამა იქაურიბა და შეუძლე-ბელი და იყო მისი იქ დამყოფება. დაუნდობელ—დაუდეგარი ვერც ერთ ფარგალში ვერ ეტყოდა, ვერც ერთ ყალიბს ვერა მშენებდა და სულსა ხდიდა აღმზრდებული თუ სტატებს. სრულებით არად შეიმჩნია ლევანმა გამორიცხვა. ჩაიცა წი-თელი ჩიხა-ახალუხი, აისხა იარაღი, დაიხურა ფაფახი, მოაჯ-და მერანს და გაუტია; დაჭიროლავდა ხან აღმა, ხან დაღმა.

სასწავლებელში სწავლობდა ნოდარის ბალლი ილი-კოც, სამხედრო სკოლაში. ის მუშა ბალლი იყო, მუშათი და საუკეთესო შეგირდად ითვლებოდა. ბატონი ვახტანგი აუცე-დრიდა ლევანს და მუდამ ილიკოზე უთითებდა, როგორც მა-გალითზე, არცხენდა შვილს, აღიზინებდა ილიკოს შექებით. ეს იყო მიზეზი, რომ ლევანმა შეიძულა ილიკო, მტრად დაი-სახა იგი და მზად იყო გაენადგურებინა ისიც და მისი მამა ნოდარიც. ეხლა ახალგაზდები ორივენი ხალხში გარეული-ყვნენ, ლევანი ბატონ-კაცურად გამოწყობილი ცხენითა და მათრახით ხელში, ილიკო შეგირდულ ტანისამოსში. ლევანი ნოდარის მოძულეთა ჯვუფში ჩამდგარიყო და რაც შეიძლე-ბოდა სამტროდ აქეზებდა მის მოწინააღმდეგეთ. როდესაც ნოდარი დიდის ხმის უმეტესობით ამოირჩიეს მამასახლისად, ლევანი გაბრაზდა, მოლად აირია და დაიწყო ხმა მაღლა გმო-ბა ნოდარისა. ეხლა კი ჩამოეცალნენ ხუნძაყმის მოწინააღმდე-გნი ლევანს: საშიში იყო ნოდარის ლინდვა როგორ, უკვე ამორჩეული მოხელისა და თანაც დიდი უარმყოფელნიც არ

იყვნენ ნოდარისა, არც შეურიგებელნი. ამან მოლებდ გაარჩე-ზა ლევანი და ტვინი აურია.

5.

ბოლმა მოწოდლილმა ლევანმა შესწრო თვალი თავის მე-ტოქე ილიკოს, ის მწერალს ამოსჯდომოდა გვერდში და მის კალმის წვერს ადევნებდა თვალს კმაყოფილებით. თვალთ და-უბნებლდა გრაზმორეულს. ისე მოეჩენა, თითქო სწორედ ილი-კომ აჯობა მას და ბურთი გაიტანა მოედნილან, თითქო მხო-ლოდ ის ორნი იყვნენ გამოსულნი საბრძოლველად მოედა-ზე, ხალხი კი მარტო ოდენ სეირის მაყურებელი იყო და მოწამე მათის ბრძოლისა.

— ყოველგან ილიკო, ყველგან და ყოველთვის ვილაც ტეტის შვილი ილიკო და ყველგან გამარჯვებული, სკოლა-შიაც და, დახე, ცხოვრებაშიაც! არა, აღარ შეძლება მოთმე-ნა. სწორედ აქ, სწორედ ეხლა უნდა გაუსწორდეს ლევანი ილიკოს, უნდა დაამდაბლოს იგი კრების წინ, სამასხარი გა-ხადოს ხალხის თვალში; მთლადაც უნდა გაანადგუროს იგი და მოსპოს, დიალ, მოსპოს!

— შენ ეი, ილიკო! რა ნაღიტა ხბოსავით ამოსჯდომი-ხარ მა შეგრალს გვერდში? თქმის დაწერა ხომ არ გინდა ას-წავლო? ძალიან გიხარინან არა, რომ მამაშენი სოფლის მოსა-მსახურედ დააყენებინა მამა-ჩემმა?

— სოფელი ეხლა თავისუფალია და არავის კარნახი არა სკირია ჩს; თითონ იცის, ვინც უნდა დაიყენოს მოვლელად და პატრონად. და მე რომ შეგრალს ვასწავლო რამე, გასა-კვირველი არ იქნება: ჩვენ სასწავლებელში გვწროვნიან, ამას კი სკოლა არ გამოუვლია.

— შენ თუ სკოლაში ხარ, ვინ იცის სიბრძნითა გაქვს ე გოგრა გამოტენილი. გაკვეთილებს რომ თუთუყუშიგითა ჭიე-ზირობ, ის ხო არა გვინიერება?

— იცით, ხალხნო, მიუბრუნდა ლევანი კრებას, ამ ბიჭი-სთანა შეგირდებს ძალიან აფასებენ სკოლაში. რაც უნდა აბ-დაუბდა გაკვეთილი მისცენ ისტატებმა, ზეპირად ჩააბარებენ სიტყვა სიტყვით, თუნდაც არა ესმოდეთ რა. თანაც კისერ წახარილი მონები არიან კველა უფროსისა, რაც უნდა უბრძა-ნონ, უთქმელად აუსრულებენ, თუნდა მაგათვე გათახსირება მოითხოვონ. ისინიც თავზე ხელს უსვამენ მაგათ და ჭივიანებს ეძახიან.

— სწორედ ეგრე უნდა იყოს, როგორც ბატონიშვილი ბრძანებს! ჩვენც ხომ გაეზე ხელს უსვამთ და ჭივიანს ვება-ხით იმისთანა კვიცს, რომელიც ხელნასა მშვენობს და შეჯ-დომას, თქვა ერთმა სიტყვით.

— შენ ხომ დაამტკიც შენი სიქვიანე და რაღა გინდა-სულ თხ წელიწადს გაიარე რვა წლის გასავლელი და ქება-დიდებით დაბრუნდი სახლში, —მოუქრა ილიკომ.

ილიკოს სიტყვებზე ხალხს გაეცინა.

— ვის უბედებმ მაგისთანა სიტყვას, შე ტეტიავ?! დაგ-ვიწყდა რომ გუშინ მონა იყავ ჩენი?

— ეგ გუშინ იყო! დღეს აღარავისა აქვს უფლება გლეხ-კაცს მონა დაუხახოს და ტეტია.

— აბა თუ არა მაქვს უფლება და გაჩვენებ! — შესახა-გაბრაზებულმა ლევანმა, გადაფრინდა ილიკოსაკენ წაატანა ქოჩირში ხელი და შეუმაღლა მათრახი, მაგრამ ილიკო გაუ-სხლტა გვერდზე და მხოლოდ მისი ქუდი შერჩა ლევანს ხელ-ში. ლევანმა დაახეთქა ქუდი, წიხლი ამოჰკრა და ისევ მიიწია ილიკოზე. დაიჭირეს, აღარ გაუშევს. შეურაცყოფილმა ილი-კომ თავდახრილმა გასწია შინისკნ.

გ. ბარნოვი.

(დასასრული იქნება)

